

### 3. საკრუიზო გიდის სტანდარტები

#### მიმოხილვა:

ტრენინგის მიზანია მსმენელები გაეცნონ ტურიზმის ერთერთი უდიდესი და სწრაფად მზარდი სექტორის - საკრუიზო ტურიზმის გიდის სტანდარტებს. უაღრესად მაღალი კონკურენციის პირობებში საკრუიზო ტურიზმის ამოცანაა ახალი ხაზების და პორტების „აღმოჩენა“, ახალი დესტინაციების ჩართვა საკრუიზო ტურებში. ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია გიდების მიერ თანამედროვე სტანდარტების დაუფლება და მომსახურების ხარისხის ზრდა. კურსს პროგრამის მონაწილეები აითვისებენ პრაქტიკული სავარჯიშოების, ქეისებისა და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების მეშვეობით.

ტრენინგის წარმატებით გავლის შემთხვევაში მსმენელი მიიღებს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის (GTTU-TCC) სერტიფიკატს.

#### თემატიკა:

1. გიდის კვალიფიკაცია: ტურისტული სერვისის საფუძველი;
2. გიდი პროფესიული მახასიათებლები;
3. კრუიზის გიდი;
4. ექსკურსიის ამოცანა და უზრუნველყოფა;
5. თხრობა; თხრობისა და დემონსტრირების კომბინირება ექსკურსიაში;
6. ახალი ექსკურსიის მომზადების ტექნოლოგია;
7. ექსკურსიის ჩატარება;
8. ინდივიდუალური ექსკურსიის ტექსტის ადგილზე პრეზენტაცია;
9. გიდი და ტურისტთან ურთიერთობის ხელოვნება;
10. კონფლიქტების და საფრთხეების პრევენცია ექსკურსიის დროს;
11. ერთდღიანი ტური კრუიზის ტურისტთათვის.

#### ტრენერი:



#### ნიკო კვარაცხელია

დოქტორი, გოსუ ბიზნესის მართვის კათედრის  
პროფესორი, ტურიზმის ექსპერტი

#### განრიგი:

ტრენინგის დასაწყისი: 6 ოქტომბერი 2017

ტრენინგის ხანგრძლივობა: 2 კვირა

ტრენინგების პერიოდულობა: ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი

ჩატარების დრო: 19:00-22:00 (საათი)

**ტრენინგის ღირებულება 300 ლარი**

საფასურის გადახდა უნდა მოხდეს დაწყებამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღით ადრე.

რეგისტრაციისთვის გთხოვთ შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა .